BP საქართველოში მდგრადი განვითარების ანგარიში 2008

bp.com/countrysustainabilityreports

შინაარსი

01 **BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა**

02 **მიღწევები და ამოცანები**

03 **BP საქართველოში**

04 **BP-ის საქმიანობა საქართველოში**

08 **უსაფრთხო და საიმედო ენერგორესურსები**

11 **ადამიანთა რესურსი**

13 **ადგილობრივი რესურსი**

17 **ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები**

19 **დამოუკიდებელი შემფასებლის განცხადება**

20 **ტერმინების განმარტება**

20 **დამატებითი ინფორმაცია**

ანგარიშის შესახებ

ეს არის BP-ის მიერ საქართველოში გამოცემული მდგრადი განვითარების მეხუთე ანგარიში, რომელიც აღწერს ჩვენს საქმიანობას საქართველოში 2008 წელს და სხვადასხვა მაჩვენებლებით გამოხატულ ამ საქმიანობის შედეგებს. ჩვენთვის „მდგრადობა“ ნიშნავს BP-ის, როგორც საწარმოო ჯგუფის უნარს, განაახლოს აქტივები, შექმნას და მომხმარებელს მიაწოდოს უკეთესი პროდუქცია, გააუმჯობესოს მომსახურება საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების საპასუხოდ, მოიზიდოს თანამშრომელთა ახალი თაობები, თავისი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და შეინარჩუნოს ნდობა საკუთარი მომხმარებლების, აქციონერებისა და იმ ქვეყნების მოსახლეობის, სადაც იგი საქმიანობს.

წელს განვაახლეთ ანგარიშის სტრუქტურა და შინაარსი. საქართველოში ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიღწევების გარდა, ანგარიში მიმოიხილავს მდგრადი განვითარების იმ ძირითად სფეროებს, რომლებიც კომპანიამ გამოავლინა ან ჩვენი საქმიანობით დაინტერესებული საზოგადოების მიერ დასახელდა. თითოეული თავი მასში განხილული თემების მიხედვით არის დასათაურებული.

ისევე როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც ფორმალური პროცესის მეშვეობით გამოვავლინეთ ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც შიდა და გარეშე დაინტერესებული მხარეებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა. ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ანგარიშში დაბალანსებულად და დასაბუთებულად აისახოს მდგრადი განვითარებისთვის გაწეული ჩვენი საქმიანობის უმშვნელოვანესი ასპექტები. ისევე როგორც გასული წლის ანგარიშები, წინამდებარე ანგარიში შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ამ დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე:
www.bp.com/countrysustainabilityreports

ამ ანგარიშში „BP“-ისა და „BP ჯგუფის“ ხსენებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთიანად არის წარმოდგენილი BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული. ნაცვალსახელები „ჩვენ“ და „ჩვენი“ გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული. თანხები მოცემულია აშშ დოლარებში, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

ყდაზე:
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პირველი საქაჩი სადგური საქართველოს ტერიტორიაზე

გამაფრთხილებელი განცხადება

BP *საქართველოს „2008 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში“* შეიცავს გარკვეულ განცხადებებს, რომლებიც სამომავლო ქმედებებს შეეხება. თავისი არსით, სამომავლო განცხადებები შეიცავს გარკვეულ რისკებს და უზუსტობებს, რადგან ისინი ეხება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულია ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოხდება ან შეიძლება მოხდეს მომავალში. ფაქტიური საბოლოო შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამგვარად პროგნოზირებული შედეგებისგან, რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორისაა: მრეწველობის ამ დარგის ნედლეულით მომარაგების დონე, მოთხოვნის დონე და ფასწარმოქმნა, წარმოებაში შექმნილი პრობლემები, ზოგადი ეკონომიკური პირობები, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა მოცემულ რეგიონში; ცვლილებები ქვეყნების კანონმდებლობაში; ვალუტის კურსის ცვალებადობა; ახალი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, საზოგადოების განსხვავებული მოლოდინი და შეცვლილი ბიზნესგარემო; კონკურენტების საქმიანობა, სტიქიური უბედურებები და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები; ომები, ტერორისტული და დივერსიული აქტები; აგრეთვე სხვა ფაქტორები, რომლებიც ნახსენებია წინამდებარე დოკუმენტში ან „BP-ის 2008 *წლის ფინანსურ ანგარიშში*“.

„მდგრადი განვითარების ანგარიშის“ Ernst & Young-ის მიერ შემოწმების პროცესი

ჩვენ შევამოწმეთ BP *საქართველოს 2008 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში*, რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, განცხადებები და მტკიცებულებები სათანადოდაა დასაბუთებული ფაქტებითა და ახსნა-განმარტებებით. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის მე-19 გვერდზეა მოყვანილი.

ანგარიშში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება მოცემულია მე-20 გვერდზე.

წინასიტყვაობა

BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა

ნილ დანი BP-ის გენერალური მენეჯერი საქართველოში
2009 წლის მაისი

> 2008 წელი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯებით გამოირჩეოდა, რომელთა მიღწევა, ქვეყანაში შექმნილი სირთულეების მიუხედავად, მინიმალური შეფერხებებით მოხერხდა.

მაქვს პატივი გავაგრძელო ჩემი წინამორბედების ტრადიცია და წარმოგიდგინოთ *BP საქართველოს* რიგით მეხუთე ყოველწლიური „მდგრადი განვითარების ანგარიში“, რომელიც საქართველოში ჩვენი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მიმოიხილავს. „მდგრადი განვითარების ანგარიშის“ გამოცემა ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი საშუალებას გვაძლევს, ფართო საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენი საქმიანობის შედეგები და მოვისმინოთ მათი აზრი, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ისინი.

2008 წელს მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის გამო საქართველო ერთბაშად მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. ქვეყნის ყოფაში დღემდე გამოძახილს ჰპოვებს კონფლიქტის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები. ჩვენ შევძელით, რომ ქვეყანაში შექნილი სიტუაციის მიუხედავად, ჩვენი საქმიანობა მინიმალური შეფერხებებით გაგვეგრძელებინა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიზრუნეთ ყველა ჩვენი თანამშრომლის ადგილსამყოფელის დადგენასა და უსაფრთხოების დაცვაზე.
ჩვენი ობიექტების ოპერირება გავაგრძელეთ უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

წლის განმავლობაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენითა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენით გადაზიდული ნახშირწყალბადების საერთო წლიური მოცულობა გაიზრდა და ამ მილსადენების ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელმა საშუალოდ 99.8%-ს მიაღწია, რაც მნიშვნელოვანი წარმატებაა. სარემონტო და ტექმომსახურების სამუშაოების შემდეგ, წარმატებით გავუშვით ექსპლუატაციაში დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი. ამ მიღწევების ფონზე ჩვენთვის საამაყოა ჩვენი უსაფრთხოების მაჩვენებლები, მათ შორის ის ფაქტი, რომ უკვე მეორე წელია ჩვენს ოპერაციებში არ აღნიშნულა არც ერთი შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღე (DAFWC).

კონფლიქტით გამოწვეული შეფერხებებისა და ჩვენი კონტრაქტორების ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, წინსვლა აღინიშნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთზე სპეციალური პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობაში. ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ საქართველოს მთავრობასთან მივაღწიეთ მნიშვნელოვან შეთანხმებებს მიწაზე უფლებებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე, წინსვლა აღინიშნა მილსადენების გასწვრივ უსაფრთხოების ზონების შემოღების საკითხშიც. ორივე ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა მომავალში ჩვენი ობიექტების უსაფრთხო და საიმედო ექსპლუატაციის უზრუნველყოფაში დაგვეხმარება.

დაჩქარდა კადრების ნაციონალიზაციის პროცესი და წლის ბოლოსთვის პერსონალის მთლიან შემადგენლობაში ადგილობრივი თანამშრომლების წილმა 90% შეადგინა. კომპანიაში ძირითადი სფეროების უმეტესობას ადგილობრივი კადრები ხელმძღვანელობენ. ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოში BP-ის ადგილობრივ ენერგოკომპანიად გადაქცევა ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ვულოცავ კომპანიის ყველა თანამშრომელს შექმნილ რთულ პირობებში მინიმალური შეფერხებებით მიღწეულ ამ მნიშვნელოვან შედეგებს და მადლობას ვუხდი კომპანიის წარმატებაში შეტანილი წვლილისათვის.

სირთულეები მომავალშიც გველის, მათ შორის, არსებულ არაპროგნოზირებად ეკონომიკურ სიტუაციაში ფინანსურად წარმატებული ბიზნესის შენარჩუნების არცთუ მარტივი ამოცანის წინაშე ვდგავართ. 2008 წელს და წინა წლებში რაციონალური და რენტაბელური კომპანიის შესაქმნელად გაწეული ძალისხმევა ჩვენი ბიზნესის გრძელვადიანი პერსპექტივების საფუძველს ქმნის. გასული წლის მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ შეგვწევს ძალა ეფექტურად გადავლახოთ არასტაბილური გარემოს გამოწვევები, რაც მდგრადი ბიზნესის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა. მომავალშიც არ დავიშურებთ ძალისხმევას, რომ ჩვენი საქმიანობის მდგრადობა მრავალი წლის განმავლობაში შევინარჩუნოთ.

მიღწევები და ამოცანები

წარმატებული ბიზნესის მართვის პროცესის თანმხლები ყოველდღიური სირთულეების გადალახვის გარდა, 2008 წელს მოგვიხდა ჩვენი საქმიანობის მართვა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის პირობებში. ანგარიშის ეს თავი მიმოიხილავს 2008 წელს ჩვენს ძირითად მიღწევებსა და ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანებს.

მილსადენის ექსპლუატაცია
BP-ს თანამშრომელი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პირველ საქაჩ სადგურზე

მიღწევები

კადრების ნაციონალიზაცია
კომპანიაში კიდევ უფრო გავზარდეთ ადგილობრივი თანამშრომლების რიცხვი, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე. (იხ. გვერდი 11).

ექსპლუატაციის ეფექტურობა
2008 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობამ იმატა და დღეში საშუალოდ 675000 ბარელს მიაღწია. ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის ექსპლუატაციის ეფექტურობის საშუალო მაჩვენებელი 99.8% იყო. (იხ. გვერდი 4).

მიწაზე უფლებების რეგისტრაცია
მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა საქართველოს მთავრობის მიერ მილსადენების დერეფანში მდებარე სახელმწიფო მიწაზე ჩვენი უფლებების რეგისტრაციის საკითხში. (იხ. გვერდი 5).

რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე
2008 წლის აგვისტოში საქართველოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩვენ შევძელით ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა და ნავთობსადენის ექსპლუატაციის რეჟიმის შენარჩუნება. (იხ. გვერდი 9).

ამოცანები

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) უსაფრთხოება
2008 წლის ბოლო თვეებში მილსადენზე აღმოჩენილი უკანონო მიერთებების გახშირებულმა ფაქტებმა მილსადენის ზოგიერთ მონაკვეთზე დაცვის უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა წარმოშვა (იხ. გვერდი 6).

კონტრაქტორების კვალიფიკაცია
2008 წელს ჩვენი კონტრაქტორი კომპანიებიდან რამდენიმეს ფინანსური და ორგანიზაციული პრობლემები შეექმნა, რაც პოლიტიკურმა არეულობამ კიდევ უფრო გაამძაფრა. შედეგად, აგვისტოში, ანუ სამშენებლო სეზონის პიკის დროს, გადაიკეტა მისასვლელი კოდიანას მიდამოებში მშენებარე ობიექტებთან და ამ ტერიტორიებიდან კონტრაქტორების პერსონალის ევაკუაცია განხორციელდა. ამ მოვლენების გამო ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთზე სპეციალური პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებში, კომპანიის შიდა გრაფიკთან შედარებით, ჩამორჩენა აღინიშნა. გრძელდება ჩვენი ძალისხმევა კონტრაქტორების კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების ასამაღლებლად (იხ. გვერდი 7).

უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუმჯობესება
2008 წელს ორი წელი შესრულდა, რაც საქართველოში ჩვენი საქმიანობის პროცესში არ მომხდარა არც ერთი უბედური შემთხვევა და არ აღრიცხულა შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღე (DAFWC), თუმცა, 2007 წელთან შედარებით, გაიზარდა აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე. ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ, რომ ყურადღების მოდუნება ამ საკითხში დაუშვებელია და მივისწრაფით, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი და ჩვენი კონტრაქტორების მუშაობის უსაფრთხოების მაჩვენებლები. (იხ. გვერდი 9).

მშენებლობის პროექტებიდან ექსპლუატაციის ეტაპზე გარდამავალი პროცესის დასრულება
ამ პროცესში აღნიშნული წინსვლის მიუხედავად, კვლავ ვანყდებით სირთულეებს, რომლებიც აფერხებენ მილსადენების მშენებლობის ეტაპზე დაწყებული პროექტების დასრულებას. დასასრულს უახლოვდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მშენებლობა, რასაც წინ უძღოდა საჭირო ნებართვების მოპოვება ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისგან. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული მიწის ზედაპირის აღდგენის სამუშაოებში მილსადენების გასხვისების დერეფნის მთლიან ფართობზე, მაგრამ გრძელდება მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან ტყის ეკოკომპენსაციის მეთოდოლოგიის შესათანხმებლად (იხ. გვერდი 10).

BP საქართველოში

ზოგადად BP-ის შესახებ

BP ნავთობისა და გაზის რესურსების, აგრეთვე ალტერნატიული წყაროების გამოყენებით აწარმოებს ტრანსპორტის, გათბობისა და განათებისათვის საჭირო ენერგიას და ყოველდღიური მოხმარების პროდუქციას. BP საერთაშორისო კომპანიაა, რომელსაც 92000-მდე თანამშრომელი ჰყავს დასაქმებული მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაში, თითქმის 29 ქვეყანაში გააჩნია წილი წიაღისეულის საძიებო და მოპოვების ოპერაციებში, მათ შორისაა წიაღისეული საწვავის მილსადენებით ტრანსპორტირების ოპერაციები საქართველოს ტერიტორიის გავლით.

2008 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში BP-ის დღიური მოპოვების მოცულობამ 3,8 მილიონი ბარელი ნავთობისა და გაზის ეკვივალენტი შეადგინა. 2008 წელს კომპანიამ წლიური მოპოვების მოცულობა 121%-ით ჩაანაცვლა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უკვე მე-15 წელია, რაც კომპანიის მარაგების ჩანაცვლების კოეფიციენტი 100%-ს აღემატება. 2008 წელს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მოპოვების დაწყება გუნაშლის ღრმა წლების პლატფორმაზე, კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში.

ჩვენი საქმიანობა საქართველოში

საქართველოში BP ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) ოპერატორია. ამ მილსადენების ექსპლუატაციის პერიოდი მესამე სრულ წელს ითვლის. მილსადენები საქართველოს ტერიტორიის 248 კილომეტრიან მონაკვეთს ერთმანეთის პარალელურად გადაკვეთს. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი ნავთობსაქაჩი სადგური, ორი გაზგამზომი სადგური და 21 ჩამკეტი სარქველი. BP ამ ობიექტებს ექსპლუატაციას ახორციელებს ენერგოკომპანიებისა და ინვესტორებისგან შემდგარი ორი საერთაშორისო კონსორციუმის სახელით.

გარდა ამისა, BP დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ოპერატორია, რომლის 373 კილომეტრი საქართველოში მდებარეობს და რომლის მეშვეობით კასპიის ზღვის სანგაჩალის ტერმინალიდან ნავთობი შავ ზღვაზე მდებარე სუფსის ნავთობტერმინალს მიეწოდება.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უცხოური ავიაკომპანიების საავიაციო საწვავით მომსახურებას აწარმოებს BP-ის ერთობლივი საწარმო Air BP.

ჩვენი ღირებულებები

საქართველოში BP-ის საქმიანობა BP ჯგუფის ღირებულებებისა და სტრატეგიის გათვალისწინებით მიმდინარეობს.

BP-ის ღირებულებებია: პროგრესული, პასუხისმგებელი, ინოვაციური, შედეგებზე ორიენტირებული.

პროგრესული

ჩვენ ორმხრივი სარგებლისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის პრინციპზე ვაგებთ ურთიერთობას კომპანიის შიგნით და ჩვენს პარტნიორებთან და მომხმარებლებთან.

პასუხისმგებელი

ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი თანამშრომლებისა და ჩვენი საქმიანობის რეგიონების მოსახლეობის უსაფრთხოებაზე და მათთვის განვითარების შესაძლებლობების შექმნაზე. ჩვენი დევიზია – არც ერთი უბედური შემთხვევა და არავითარი ზიანი ადამიანებსა და გარემოს.

ინოვაციური

გაუმჯობესებისაკენ მუდმივი სწრაფვით, ჩვენი თანამშრომლებისა და ტექნოლოგიების მეშვეობით, საფუძველს ვქმნით მომავალი წარმატებებისათვის.

შედეგებზე ორიენტირებული

ჩვენ ვასრულებთ ჩვენ წინაშე დასახულ ამოცანებს მუდმივი სრულყოფის გზით და ვინარჩუნებთ ჩვენი ოპერაციების უსაფრთხოებასა და საიმედოობას. ჩვენ ამ ღირებულებებით ვხელმძღვანელობთ საქართველოში ჩვენი საქმიანობის პროცესში. ჩვენ ვმოქმედებთ მაღალეთიკური სტანდარტების შესაბამისად და განუხრელად ვიცავთ BP-ის „ქცევის კოდექსს“.

BP-ს ინტერესები კასპიის რეგიონში



BP-ის საქმიანობა საქართველოში

როგორ წარიმართა BP-ის საქმიანობა საქართველოში 2008 წელს?

2008 წელს საქართველოში ჩვენი საოპერაციო და პროექტებით გათვალისწინებული საქმიანობა წარიმართა ეფექტიანად, საიმედოობისა და უსაფრთხოების პირობებში. ანგარიშის ამ თავში აღწერილია წლის განმავლობაში განვითარებული ძირითადი მოვლენები.

ამ დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე:
www.bp.com/countrysustainabilityreports

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი

2008 წელს საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობამ, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის უდანაკარგო და შეუფერხებელი გადაზიდვის მაჩვენებელმა 99,8% შეადგინა.

წლის განმავლობაში ნავთობსადენით ტრანსპორტირებული ნავთობის ნაკადმა მოიმატა და დღეში საშუალოდ 675 ათასი ბარელი შეადგინა, ხოლო წლის მრავალი დღის განმავლობაში ნავთობსადენში გამავალი ნავთობის მოცულობამ ახლანდელ საპროექტო წარმადობას – დღეში ერთ მილიონ ბარელს მიაღწია.

6 აგვისტოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაცია შეჩერდა თურქეთის ქალაქ ერზინჯანთან, 30-ე ჩამკეტ სარქველზე მომხდარი ხანძრის გამო. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესაბამისად, ავარიის ლიკვიდაციის ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ოპერატორი თურქეთში – Botas International Limited (BIL). ავარიაზე რეაგირების ღონისძიებების დასახმარებლად BP-მ უზრუნველყო მილსადენის გაჩერება მართვადი პროცესის მეშვეობით, ანკარასა და ბაქოში შექმნა დამხმარე ჯგუფები, უშუალოდ შემთხვევის ადგილზე გასწია ტექნიკური კონსულტაციები და სარემონტო ბრიგადის მობილიზება მოახდინა.

ექსპლუატაციის ნორმალური რეჟიმი აღდგა აგვისტოს ბოლოს თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ყველა ჩამკეტი სარქველის უსაფრთხოებისა და მექანიკური მთლიანობის შეფასების შემდეგ.

საქართველოს მთავრობასთან მიღწეულია შეთანხმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის წარმადობის დღიურ 1,2 მილიონ ბარელამდე გაზრდის თაობზე, რაც მილსადენში ქიმიური ნივთიერების – ანტიფრიქციული რეაგენტის შეშვებით მიიღწევა. 2008 წელს დაიწყო ნავთობსაქაჩ სადგურებსა და სხვა ობიექტებზე რეაგენტის ინჟექტორის, მილგაყვანილობის, ტუმბოებისა და სახარჯო რეზერვუარების დამონტაჟებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები.

საზღვაო ოპერაციები
დატვირთული ტანკერი სუფსის ტერმინალთან შავ ზღვაზე



ჩვენი თანამშრომლებისა და ბიზნესის წინსვლა

„BP-ში თერთმეტ წელზე მეტია ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში კომპანიის როლი კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბაქო-სუფსის მილსადენის ოპერაციებიდან და დღეში 90 მილიონი ბარელი გატარებული ნავთობის მოცულობიდან ჩვენ მივაღწიეთ დღევანდელ მდგომარეობას, როცა, ერთი მხრივ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მეშვეობით გაცილებით მეტი მოცულობის ნავთობის ტრანსპორტირებას ვახდენთ დასავლეთის ბაზრების მიმართულებით, და მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასიური გაზსადენით ბუნებრივ აირს ვანვდით აზერბაიჯანს, თურქეთსა და საქართველოს.

ჩვენ ყველას გაცნობიერებული გვაქვს, რა გლობალური მნიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანის ინდივიდუალურ ძალისხმევას, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენს პასუხისმგებლობას და სურვილს, რომ ბიზნესის გაფართოებასთან ერთად პირადი კვალიფიკაციის ამაღლებაზეც ვიზრუნოთ. ასეთი მიზანდასახულობის მაგალითია კახა ჯალაბაძისა და შალვა თითბერიძის კარიერა. მათ ხუთი წლის წინ დაიწყეს მუშაობა კომპანიაში ექსპლუატაციის ტექნიკოსებად და ამჟამად მართავენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს – ნავთობსაქაჩ სადგურს და საკუთარ გუნდთან ერთად კომპანიის, რეგიონისა და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იღწვიან. მათ წარმატებულ მუშაობაზე BP-ის მილსადენების საქართველოს მონაკვეთის 99%-იანი ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელიც მეტყველებს.

პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ წარმოების ყველა სფეროში, მაღალი კვალიფიკაციისა და მოტივაციის მქონე ადამიანების გარეშე, წარმატებული მუშაობა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა თანამშრომელთა შეშფოთება გამოიწვია, ჩვენი ტექნიკური პერსონალის, მათი ხელმძღვანელებისა და საზღვაო ოპერაციების პერსონალის პროფესიონალიზმის წყალობით ჩვენ დავიცავით ჩვენი ობიექტების უსაფრთხოება და შევასრულეთ როგორც სატრანზიტო ოპერაციები – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ბაქო-სუფსის მილსადენის გავლით, ისე ნავთობის ექსპორტის ოპერაციები სუფსის ტერმინალიდან.

მომავალ წელს არაერთი გამოწვევა გველის, რაც მილსადენების წარმადობის გაზრდასა და ადგილობრივი ბაზრების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უკავშირდება. ჩვენ ვამაყობთ ჩვენ მიერ დღემდე შესრულებული სამუშაოთი და ვიმედოვნებთ, რომ სიამაყის საფუძველი მომავალშიც გვექნება".

ერეკლე ლეჟავა, ექსპლუატაციის სუპერინტენდანტი, BP საქართველო

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ბოლოვდება თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯეიჰანის საზღვაო ნავთობტერმინალთან, საიდანაც 2008 წელს ნავთობით დატვირთული 313 ტანკერი გავიდა. წლის განმავლობაში რვა ტანკერი დაიტვირთა სუფსის ტერმინალზე.

საქართველოს მთავრობასთან გავაფორმეთ აღნაგობის ხელშეკრულებები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გასხვისების დერეფანში მოქცეულ სახელმწიფო მიწაზე და რეგისტრაციაში გავატარეთ ჩვენი უფლებები მთლიანი მიწის ფართობის 90%-სათვის. გარდა ამისა, მთავრობას გადავეცით ყველა საჭირო ინფორმაცია მილსადენების გასწვრივ და მილსადენების ობიექტების ირგვლივ გათვალისწინებული უსაფრთხოების ზონების საზღვრებისა და მათში მოქმედი შეზღუდვების შესახებ და ამჟამად ველით საქართველოს მთავრობის ოფიციალური დადგენილების გამოცემას უსაფრთხოების ზონების შემოღების შესახებ.

სამხრეთ კავკასიური გაზსადენი

2008 წელს სამხრეთ კავკასიური გაზსადენით გატარებული გაზის მოცულობა წინა წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა. წლის განმავლობაში გაზსადენის მეშვეობით სტაბილურად და უსაფრთხოდ მარაგდებოდა მომხმარებელი საქართველოსა და თურქეთში, და აგრეთვე ნავთობსადენის გაზზე მომუშავე დანადგარები. კასპიის ზღვის აუზში მდებარე შაჰ დენიზის საბადოდან მიღებული გაზი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად რჩება.

მილსადენების უშიშროება და ადამიანის უფლებები

საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ოპერაციებში „უშიშროებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპების" დანერგვის ხარისხის დამოუკიდებელი შეფასებისთვის მეორედ მოვიწვიეთ აშშ-ის იურიდიული ფირმა Foley Hoag LLP, რომლის დასკვნაში ნათქვამია, რომ პროექტების ფარგლებში „არსებითად სრულდება ნებაყოფლობითი პრინციპები" და ვლინდება „კეთილსინდისერება და მოწინავე პოზიციები საერთაშორისო დონეზე ვალდებულებათა შესრულებისა და რისკების მართვის თვალსაზრისით". მომზადდა კონკრეტული რეკომენდაციები, მათ შორის წინადადებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს უშიშროების კონტრაქტორების უკეთ ინფორმირება საქმიანი ეთიკისა და ადამიანის უფლებების პრინციპების შესახებ.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი

2008 წლის ივლისში განვაახლეთ დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის უსაფრთხო ექსპლუატაცია, რასაც წინ უძღოდა მილსადენის გაჩერება 2006 წლის შემოდგომაზე, მისი მთლიანობის დასაცავი პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. ექსპლუატაციაში გაშვებიდან მოკლე ხანში იძულებული გავხდით, რომ მილსადენის მუშაობა შეგვეჩერებინა აგვისტოში საქართველოში მომხდარი კოფლიქტის გამო და მოგვიანებით ნავთობსადენზე აღმოჩენილი უკანონო მიერთებების (ნავთობსადენის გარკვეული სექციებიდან ნავთობის გადაქაჩვის მცდელობის) შედეგების აღსაკვეთად.

ისევე როგორც 2007 წელს, 2008 წელს საქართველოში ჩვენი საქმიანობის პროცესში აღინიშნა ნავთობის დაღვრის ორი ისეთი შემთხვევა, როდესაც დაღვრილი პროდუქტის მოცულობა ერთ ბარელს აღემატებოდა. ერთი შემთხვევა მოხდა სუფსის ტერმინალზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნავთობი მილსადენზე უკანონო მიერთების მცდელობის შედეგად დაიღვარა. 2007 წელთან შედარებით 2008 წელს ნაკლები იყო დაღვრილი ნავთობის საერთო მოცულობა (დაახლოებით 29 ბარელი) და მოხერხდა დაღვრილი პროდუქტის მთლიანად შეგროვება.

2008 წელს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე გახშირდა უკანონო მიერთების შემთხვევები. საკუთარი ძალებით ნავთობსადენის დაცვის ზომების გატარებასთან ერთად, საქართველოს მთავრობასთან ერთობლივად განვიხილავთ ქმედით ღონისძიებებს, რომლებიც ნავთობსადენიდან ნავთობის დატაცების ფაქტებისა და ამით გამოწვეული ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებაში დაგვეხმარება.

ნავთობსადენის გრძელვადიანი უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად, ჩვენ ამჟამად მისი ცალკეული სექციების შეცვლის შესაძლებლობას განვიხილავთ. ეს პროექტი გულისხმობს ნავთობსადენის ზოგიერთი ძველი (საბჭოთა კავშირის დროინდელი) სექციის ახლით შეცვლას და მილსადენის მარშრუტის ცვლილებას რამდენიმე მეწყერსაშიშ უბანზე. შესაცვლელი მონაკვეთების საერთო სიგრძე 66 კილომეტრია. 2008 წლის ბოლოსთვის დასრულდა მარშრუტის შესარჩევი ტოპოგრაფიული საველე სამუშაოები. აგრეთვე ჩატარდა გარკვეული მოცულობის საინჟინრო-გეოლოგური საკვლევი სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს მიწის საკადასტრო მონაცემების შეგროვება და მუშაობა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე. ამ სამუშაოების დასრულება 2009 წელს იგეგმება.

სპეციალური პროექტები

წინსვლა აღინიშნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთისთვის განკუთვნილი „სპეციალური პროექტებით“ გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობაში, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით შენდება. დავასრულეთ უსაფრთხოების ბაზის მშენებლობა და ობიექტი გადავეცით შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის მთავარ სამმართველოს (SPPD). დასრულდა ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარის მექანიკური ნაწილი (ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარი არის 8500 m^3 მოცულობის ფოლადის რეზერვუარი, რომელიც ბეტონის მიწისქვეშა მეორად გარსაცმშია ჩასმული და ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთის რომელიმე წერტილში მომხდარი ავარიის შემთხვევაში მილსადენის ამ სექციაში არსებული ნავთობის მოცულობის ჩამოსაცლელად და შესანახად არის განკუთვნილი). მიმდინარეობს ობიექტის წინასაექსპლუატაციო და ექსპლუატაციაში მიღების ფორმალური პროცესის მოსამზადებელი სამუშაოები. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები მეორად შემაკავებელ ობიექტებზე (ჯებირებითა და საკეტებით აღჭურვილი შემაკავებელი აუზები, რომლებმაც ნავთობსადენის დაზიანების ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში დაღვრილი ნავთობის ეფექტური შეკავება უნდა უზრუნველყონ).

ამ პროექტების მიმდინარეობაში შეფერხებები აღინიშნა პროექტებზე დასაქმებული ჩვენი კონტრაქტორების ფინანსური პრობლემების გამო, აგრეთვე აგვისტოს კონფლიქტის მიზეზით, რომელიც მშენებლობის სეზონის პიკს დაემთხვა და რამაც გამოიწვია კონტრაქტორი კომპანიების პერსონალის ევაკუაცია და გარკვეული დროით გადაიკეტა სამშენებლო ობიექტებზე მასალების მიწოდების გზები.

სამხრეთ კავკასიური გაზსადენი
მოქმედი ობიექტი
თურქეთის საზღვართან

Air BP
საქმიანობა თბილისის
საერთაშორისო
აეროპორტში

ზოგადად ადგილობრივ კონტრაქტორებთან ურთიერთობისას პროექტის მართვის სფეროში კონტრაქტორების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება გამოიკვეთა. პარტნიორებთან ერთად ჩვენ 1,5 მილიონი დოლარით დავაფინანსეთ პროექტის მართვის კოლეჯის სამწლიანი ინიციატივა, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ამ ანგარიშის თავში სათაურით – „ადგილობრივი რესურსი“.

ჩვენი კომპანიის პროექტების განყოფილება აგრძელებს მშენებლობის პერიოდში დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას. 2008 წელს შეკეთდა ოცდაათი გზა და შვიდი ხიდი, რომლებიც მილსადენების მშენებლობის პერიოდში გამოიყენებოდა.

Air BP

Air BP წლის განმავლობაში აგრძელებდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ავიაკომპანიების მომსახურებას საერთაშორისო კლასის საავიაციო საწვავით. 2008 წელს Air BP-ის კლიენტების სიას შეემატნენ ავიაკომპანიები Lufthansa, „ავსტრიის ავიახაზები“ და „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზები“. ისევე როგორც 2007 წელს, კომპანიის საქმიანობაში 2008 წლის განმავლობაში არც ერთი შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღე და საწარმოო ტრავმის შემთხვევა არ აღრიცხულა.

ფინანსური და ეკონომიკური ეფექტი

ჩვენი წვლილი საქართველოს ეკონომიკაში კვლავ მნიშვნელოვანია.

2008 წელს საქართველოში ჩვენი საოპერაციო ხარჯები 130,9 მილიონი დოლარი იყო, ხოლო 2007 წელს იმავე მაჩვენებელმა 111,6 მილიონი დოლარი შეადგინა. 2008 წელს კაპიტალური დაბანდება 74,2 მილიონ დოლარს გაუტოლდა, რომლის უდიდესი ნაწილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთოსადენის წარმადობის გაზრდისთვის საჭირო სამუშაოებსა და მიმდინარე სამშენებლო პროექტებს მოხმარდა.

2008 წელს ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ყველა აქციონერის სახელით, ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობებზე გადაანგარიშებით გადახდილმა მოგების გადასახადმა 29,6 მილიონი დოლარი შეადგინა. 2007 წელს იგივე მაჩვენებელი 24,4 მილიონი დოლარი იყო. 2008 წელს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ექსპლუატაციაში გაშვებასთან ერთად საქართველოს ბიუჯეტში ტარიფის სახით გადახდილმა თანხამ 1,2 მილიონი დოლარი შეადგინა.

მილსადენების მშენებლობის დასრულებასთან ერთად შემცირდა BP-ისა და მისი პარტნიორების წილი ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. სახელმწიფო სტატისტიკის მიხედვით, 2008 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში BP-ისა და მისი პარტნიორების წილი დაახლოებით 2,7% იყო, თუმცა მილსადენების ექსპლუატაციის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი წილი ექსპორტის ღირებულებაში. სახელმწიფო სტატისტიკაზე დაყრდნობით, BP-ის მილსადენების ოპერაციებმა მთლიანი მომსახურების ექსპორტის დაახლოებით 17% შეადგინა.

თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან

ჩვენ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ კონტრაქტორებთან. 2008 წელს ჩვენ მიერ ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილმა თანხამ 74,3 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2007 წელს ეს თანხა 72,6 მილიონი იყო.

უსაფრთხო და საიმედო ენერგორესურსები

როგორ უზრუნველყოფს BP საქართველოში მისი ოპერაციების უსაფრთხოებასა და საიმედოობას?

ჩვენი საქმიანობის არსი ენერგომატარებლების უსაფრთხო და საიმედო მიწოდებაში მდგომარეობს. ჩვენი კორპორაციული ღირებულებებია: არც ერთი უბედური შემთხვევა, არავითარი ზიანი ადამიანებსა და გარემოს. ისევე როგორც მთლიანად BP-ის მასშტაბით, საქართველოში უსაფრთხოებისა და საოპერაციო საქმიანობის მუდმივი სრულყოფისთვის ჩვენ ინვესტიციებს ვახორციელებთ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, აღჭურვილობასა და საწარმოო პროცესებში.

ამ დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე:
www.bp.com/countrysustainabilityreports

უშიშროების რისკების მართვა

2008 წელს საქართველოში მოგვიხდა რეაგირება აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციაზე: მოხდა უცხოელი თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და მათი ოჯახის წევრების ევაკუაცია აზერბაიჯანსა და თურქეთში, გადამოწმდა ყველა თანამშრომლის ადგილსამყოფელი და ადგილობრივ თანამშრომლებს მიეცათ მითითება, რომ დარჩენილიყვნენ შინ ან სხვა უსაფრთხო ადგილებში. როგორც სიფრთხილის ერთ-ერთი ზომა, მივიღეთ გადაწყვეტილება ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის ტერმინალის მუშაობის გაჩერების თაობაზე. ჩვენი თანამშრომლებისა და ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს ხელისუფლებასთან შევათანხმეთ კრიტერიუმები, რომლითაც ვიხელმძღვანელებდით თანამშრომელთა სამუშაოზე უსაფრთხოდ დაბრუნებისა და ჩვენი ოპერაციების განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მას შემდეგ რაც სრულად დავრწმუნდებოდით ასეთი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაში.

ჩვენ გავაანალიზეთ ამ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისას მიღებული გამოცდილება, მათ შორის ისეთი სფეროები, როგორიცაა კომუნიკაცია, ევაკუაციის პროცედურები და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში მოქმედებათა გეგმა. კონფლიქტის პერიოდში ჩვენი ეფექტური მოქმედებების მიუხედავად, ამ ანალიზმა გარკვეული პროცედურების დახვეწის საჭიროება გამოავლინა.

უსაფრთხოების მაჩვენებლები

ისევე როგორც 2007 წელს, 2008 წელს საქართველოში ჩვენი საქმიანობის პროცესში არ ყოფილა შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი არც ერთი დღე, თუმცა ტრავმების რაოდენობა 2007 წელს აღრიცხული ერთი შემთხვევიდან ხუთამდე გაიზარდა და, შესაბამისად, აღრიცხვადი ტრავმების სიხშირის წლიური მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია. ჩვენ თითოეული აღრიცხვადი ტრავმის შემთხვევის პირველმიზეზებს ვსწავლობთ და ვიღებთ ზომებს მათი განმეორების თავიდან ასაცილებლად.

მიგვაჩნია, რომ უსაფრთხოების ნებისმიერ სფეროში ხელმძღვანელობის როლი და ეფექტური კომუნიკაციის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის ჯგუფების რეგულარული შეხვედრების ფორმატში მიმდინარეობს უსაფრთხოების წესების შესრულების მონიტორინგი და შეძენილი გამოცდილების გაზიარება, ყოველკვირეული ცირკულარების მეშვეობით ვრცელდება ინფორმაცია ინდივიდუალური და საწარმოო პროცესების უსაფრთხოების საკითხებზე, დამკვიდრებულია სამუშაოს წინა ინსტრუქტაჟისა და საუბრების ჩატარების პრაქტიკა, იმართება უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელების შეხვედრები კონტრაქტორებთან.

ხუთი წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით, ჩვენი უსაფრთხოების ყველა ძირითადი პარამეტრი შესამჩნევად გაუმჯობესებულია. მიუხედავად იმისა, რომ ეს შედეგები გარკვეულწილად ასახავს სამეშენებლო ფაზიდან ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის ფაქტს, ჩვენ კმაყოფილი ვართ მიღწეული პროგრესით, თუმცა სრულად ვაცნობიერებთ, რომ რისკების მიმართ ყურადღების შესუსტება დაუშვებელია და მეტი ძალისხმევა გვმართებს უკეთესი შედეგების მისაღწევად.

ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოება

ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოება ჩვენ წინაშე არსებული უსაფრთხოების რისკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. 2008 წელს ჩვენი ავტოტრანსპორტით გავლილი კილომეტრების მაჩვენებელმა 8,5 მილიონს გადააჭრაბა. 2008 წელს ჩვენი საქმიანობის პროცესში ექვსი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, ერთით მეტი 2007 წელთან შედარებით, თუმცა არც ერთ შემთხვევას ტრავმა არ მოჰყოლია. 2008 წელს ჩავატარეთ ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების აუდიტი, „BP-ის ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მართვის სტანდარტის“ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით მოვამზადეთ სამოქმედო გეგმა, რომლის ნაწილია ავტოსატრანსპორტო საშუალებების მცირე რაოდენობის განახლება და მართვის უსაფრთხოების კონტროლის ზოგიერთი პროცედურის დახვეწა.

ინდივიდუალური უსაფრთხოებისა და საწარმოო პროცესების უსაფრთხოების გაუმჯობესება

წლის განმავლობაში გრძელდებოდა ჩვენი საწარმოო პროცესების შესაბამისობაში მოყვანა BP ჯგუფის კორპორაციული სტანდარტების – „სამუშაოს კონტროლისა“ და „აღჭურვილობის მთლიანობის დაცვის“ სტანდარტების მოთხოვნებთან. განვიხილეთ ჩვენ საქმიანობასთან დაკავშირებული მსხვილმასშტაბიანი ავარიების საფრთხეები და შესაბამისად განვაახლეთ ჩვენი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები.
ჩვენ ასევე შევამოწმეთ ქიმიკატებთან მუშაობის პრაქტიკა ჩვენ ნავთობსაქაჩ სადგურებსა და სასაწყობე მეურნეობებზე. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენისათვის დავნერგეთ ინტერნეტის ბაზაზე მომუშავე მუშაობის უსაფრთხოების ინტეგრირებული სისტემა (ISSOW). ეს სისტემა საშუალებას აძლევს სამუშაო ბრიგადებს, რომ საკუთარი სამუშაოს დაგეგმვისა და სათანადო ნებართვების გაცემის პროცესში ისარგებლონ ნებართვებისა და სისტემების გათიშვის დამადასტურებელი სერტიფიკატების მონაცემთა ბაზით. მთელი სამუშაო ობიექტის მასშტაბით შესაძლებელია ნებართვების დამოწმება ელექტრონული ხელმოწერით, მათი წაკითხვა და ცვლილების შეტანა, აგრეთვე ნებართვის მიბმა სისტემების გათიშვის დამადასტურებელ სერტიფიკატებთან, რაც ერთდროული ოპერაციების შესრულებისა და რამდენიმე დავალების უსაფრთხო კოორდინაციის საშუალებას იძლევა. სისტემის დანერგვასთან ერთად ოპერატორებს ჩაუტარდათ ტრენინგების ინტენსიური კურსები.

პროექტებზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა გაიარეს ტრენინგები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ტვირთის აწევის ოპერაციების, ენერგიის იზოლაციის, ინციდენტების გამოძიების და სხვა საკითხებზე.

ჯანმრთელობის დაცვა

ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვაზე ყოველდღიური ზრუნვის გარდა, ჩვენ მივმართავთ საჭირო ზომებს, რომ ნებისმიერ დროს მზად ვიყოთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებსა და საგანგებო სიტუაციებზე სათანადო რეაგირებისათვის.

2008 წელს შევაფასეთ ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები, გამოვავლინეთ ჩვენ საქმიანობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები და შევიმუშავეთ პერსონალის დაცვის ღონისძიებათა პროგრამა და სახელმძღვანელო პრინციპები. ჩავატარეთ ტრენინგები რესპირატორული სისტემის დაცვის და ეკრანიან მოწყობილობასთან მუშაობის წესებზე და რევიზია ჩავუტარეთ სურსათის უვნებლობის სტანდარტებს. პერსონალის ჯანმრთელობის კვლევის პროცესის ფარგლებში შევაფასეთ თანამშრომლებისა და კონტრაქტორების პერსონალის „სამუშაოსთვის ვარგისობის“ მდგომარეობა, ჩავატარეთ ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდისა და ინფორმაციული კამპანიები ისეთ თემებზე, როგორებიცაა: აკრძალული საშუალებების მოხმარება, გრიპის პრევენცია, სტრესების მართვა და ფსიქოლოგის კონსულტაცია.

რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე

რისკების მართვის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უნარი – იქნება ეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უშიშროებისა თუ გარემოს დაცვის სფეროებში, ხოლო ამ უნარის განმტკიცებისთვის აუცილებელია ვარჯიში და მუდმივი მზადყოფნა.

2008 წელს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და ნავთობის დაღვრაზე რეაგრების გეგმების ფარგლებში ჩავატარეთ სწავლებები. ნავთობის ჩამოსაცლელი ობიექტის ტერიტორიაზე ჩავატარეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის პრაქტიკული მეცადინეობები, აგრეთვე გავმართეთ ერთობლივი სწავლება სტრატეგიული მილსადენების დაცვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მონაწილეობით, რომლის მიზანი იყო მკაფიო კოორდინაციის ჩამოყალიბება უშიშროების საფრთხის შემცველ ინციდენტებზე რეაგირების პროცესში. კომპანიის თბილისის ოფისში შექმნილი გვაქვს ინციდენტების მართვის სპეციალური ცენტრი. ტრანსსასაზღვრო საკითხების უკეთ გასაცნობად საქართველო-თურქეთის საზღვარზე ჩავატარეთ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების საწვრთნელი ღონისძიება, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიც მონაწილეობდნენ.

ნარჩენების მართვა
BP-ის ევროკავშირის სტანდარტების მოთხოვნებთან მიახლოებული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი რუსთავის მახლობლად

ეკოლოგიურად უსაფრთხო საქმიანობა

ვაგრძელებთ მუშაობას ჩვენი საქმიანობის მიზეზით გარემოზე მიყენებული ზემოქმედების სისტემური მართვის საკითხებზე. ჩვენ წარმატებით მოვიპოვეთ საერთაშორისო ეკოლოგიური მართვის სისტემის სტანდარტის – ISO 14001-ის სერტიფიკატი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და მასთან არსებული ობიექტებისათვის, რაც ძალზე საამაყო მიღწევაა, თუმცა ვაცნობიერებთ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც სერტიფიცირების ეს პროცესი გვაკისრებს და გულისხმობს, რომ უნდა შევინარჩუნოთ და მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი მაჩვენებლები. 2008 წლის მაისში ჩატარებული აუდიტის საფუძველზე ბაქო-სუფსის მილსადენს შეუნარჩუნდა ISO 14001 სერტიფიკატი.

ნარჩენების მართვა

2008 წელს წინსვლა აღინიშნა ჩვენი შიდა ვალდებულების შესრულების მხრივ, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და მასთან დაკავშირებული ობიექტებისთვის ევროკავშირის სტანდარტების მოთხოვნებთან მიახლოებული ნარჩენების მართვის პრაქტიკის არსებობას გულისხმობს.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა ობიექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ჩვენ დავიწყეთ მუდმივი ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელზეც ჩვენი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენები განთავსდება. ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლა 2009 წლის მაისში იგეგმება.

ჩვენ შევწყვიტეთ ნარჩენების განთავსება იაღლუჯას მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. არასახიფათო ნარჩენების მთლიანი მოცულობის განთავსება ხდება დროებითი დასაწყობების ადგილზე, სადაც მიმდინარეობს ნარჩენების პირველადი დამუშავება მათი მოცულობის შესამცირებლად. ნარჩენების მართვის სფეროში გატარებული ღონისძიებების წყალობით, დამოუკიდებელმა კონსულტანტმა, რომელიც ჩვენი მხრიდან კრედიტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხარისხს ამოწმებს, აუდიტის დასკვნიდან ამოიღო წინა დასკვნებში მითითებული შეუსაბამობა ნარჩენების მართვის სფეროში ნაკისრ ვალდებულებებთან.

იმის გამო, რომ საქართველოში სახიფათო ნარჩენების ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელი არ არის, 2008 წლის განმავლობაში გავახორციელეთ ჩვენს ობიექტებზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების ექსპორტი, ჩვენ მიერ საერთაშორისო კონტრაქტორთან 2007 წელს გაფორმებული კონტრაქტის ფარგლებში.

მიწის საფარის აღდგენა და ბიომრავალფეროვნების დაცვა

ჩვენ მივაღწიეთ პროგრესს ნავთობსადენისა და გაზსადენის სამშენებლო დერეფანში და დროებითი ობიექტების ტერიტორიაზე მიწის საფარის აღდგენის სამუშაოების დასრულების თვალსაზრისით. ჩატარდა ბიოაღდგენა, ჰიდროთესვა და ეროზიული უბნების მონიტორინგი. საქართველოს მთავრობასთან მიმდინარეობს მსჯელობა მილსადენების მშენებლობის პროცესში გაკაფული ტყის სანაცვლოდ მილსადენების დერეფნის გარეთ მდებარე ტერიტორიებზე ტყის გაშენების სამუშაოების მოცულობისა და მეთოდოლოგიის შესახებ.

ვაგრძელებთ BTC-ის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. ჩვენ მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებს შორის არის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მილსადენების დერეფნის გაყოლებით მგრძნობიარე ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ფლორისა და ფაუნის ზოგიერთი მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მქონე სახეობის დაცვის კომპონენტებს მოიცავს.

ტერიტორიის გაწმენდა

2008 წელს შესრულდა ბაქო-სუფსის მილსადენთან უკანონო მიერთების მცდელობის დროს 25 ბარელი ნავთობის დაღვრის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები, კერძოდ, მოიხსნა ნიადაგისა და წყლის ნავთობით დაბინძურებული ფენა და მოხდა ნარჩენების გაუვნებელყოფა შესაფერისი სტანდარტის ნარჩენების გადამამუშაველ საწარმოში.

ადამიანთა რესურსი

რას აკეთებს BP საქართველოში მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად?

ჩვენი ბიზნესისათვის უმნიშვნელოვანესია ჩვენი თანამშრომლები და მათი კვალიფიკაცია. მიგვაჩნია, რომ საქართველოში სტაბილური ბიზნესის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ადგილობრივი თანამშრომლების პროფესიული ზრდა და ისეთი ბიზნეს გარემოს შექმნა, რომელშიც წინსვლის შესაძლებლობა ყველას მიეცემა.

ამ დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე:
www.bp.com/countrysustainabilityreports

კადრების ნაციონალიზაცია

2004 წლიდან სტაბილურად ვზრდით ადგილობრივი თანამშრომლების წილს პერსონალის მთლიან შემადგენლობაში. 2008 წლის ბოლოსთვის ამ მაჩვენებელმა 93%-ს მიაღწია.

კომპანიაში ადგილობრივი თანამშრომლების წილის ზრდასთან ერთად, ჩვენი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ ზრდას, რაც მათ ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავებაში დაეხმარება. გავაფართოვეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები ადგილობრივი თანამშრომლებისათვის, ტრენინგები და სასწავლო პროგრამები უფრო მეტად მოვარგეთ სამსახურებრივი წინსვლის კონკრეტულ მიზნებს. ამჟამად კომპანიის ფინანსურ, კადრების, მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის, იურიდიულ, ბიზნეს სერვისების, უშიშროების, სოციალური პასუხისმგებლობის, გარემოს დაცვისა და ექსპლუატაციის განყოფილებებს ადგილობრივი კადრები ხელმძღვანელობენ.

მილსადენის საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის პროცესი

მშენებლობის პროექტების ეტაპის დასრულებასთან ერთად ხდება *BP საქართველოს მილსადენის საექსპლუატაციო ფაზაში შესვლა.* ამ პროცესის ფარგლებში 2008 წელს რამდენიმე სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიის ორგანიზაციული მოწყობის გამარტივებას და მეტი აქცენტის გადატანას კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე. მაგალითად, მივიღეთ გადაწყვეტილება უშიშროებისა და ტრანსპორტის ფუნქციების ძირითადი ნაწილის კომპანიის სტრუქტურიდან გამოყოფისა და კონტრაქტორი კომპანიებისთვის გადაცემის შესახებ, რაც 2009 წლის დასაწყისიდან შედის ძალაში. გარდა ამისა, ღია სატენდერო პროცესის გზით, სააგენტოს მიერ დაქირავებული ადგილობრივი კადრების მართვის ფუნქცია ახალ კონტრაქტორს გადავეცით.

2008 წელს შემცირდა ჩვენი თანამშრომლების საერთო რაოდენობა, რაც მშენებლობის პროექტების დასრულებითა და უცხოელი თანამშრომლების რაოდენობის კლებით იყო გამოწვეული. ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის პროცესში რამდენიმე თანამშრომლის შემცირებაც მოხდა.

BP საქართველოს თანამშრომლები

	2004	2005	2006	2007	**2008**
საქართველოს მოქალაქეები	**389**	**398**	**492**	**499**	**498**
BP-ის თანამშრომლები	228	271	274	280	**323**
კონტრაქტორები	161	127	218	219	**175**
უცხოეთის მოქალაქეები	**142**	**138**	**162**	**92**	**38**
BP-ის თანამშრომლები	37	38	26	26	**12**
კონტრაქტორები	105	100	136	66	**26**
სულ თანამშრომელთა რაოდენობა	**531**	**536**	**654**	**591**	**536**

თანამშრომელთა ანაზღაურება და დახმარებათა პაკეტი

2008 წელს ცვლილებები შევიტანეთ თანამშრომელთა ანაზღაურებისა და დახმარებების პაკეტის პირობებში. ცვლილებები შეეხოთ BP-ის თანამშრომლებსა და სააგენტოს პერსონალს. გავაუმჯობესეთ თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები და მნიშვნელოვნად გავზარდეთ დაზღვევის დაფარვის ლიმიტი BP-ის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ სააგენტოს თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებზე გაიცეს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი.

BP-ის ქცევის კოდექსი

ჩვენ მივისწრაფით, რომ შევინარჩუნოთ ღია სამუშაო გარემო, სადაც ყველას პატივისცემით და ღირსებით ეპყრობიან.

ჩვენი მისწრაფება გახსნილობისადმი BP-ის „ქცევის კოდექსს“ ეფუძნება. კოდექსი არის კეთილსინდისიერი მუშაობისადმი BP-ის ერთგულების გამოხატულება. მასში ჩამოყალიბებულია ყველა თანამშრომლისთვის სავალდებულო ქცევის ნორმები იმ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, უშიშროება და გარემოს დაცვა; თანამშრომლები; საქმიანი პარტნიორები; მთავრობები და საზოგადოების ჯგუფები; კომპანიის აქტივები და ფინანსური წესრიგი.

ისევე როგორც გასულ წლებში, 2008 წელს ჩავატარეთ ყოველწლიური შიდა სერტიფიცირება. ამ პროცესის ფარგლებში კომპანიის ყველა ქვედანაყოფსა და ფუნქციონალურ დანაყოფს მოეთხოვება, რომ შეავსოს ეთიკის სერტიფიკატი, რომელიც მიუთითებს, თუ რამდენად შეესაბამებოდა მათი საქმიანობა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს და „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნებს. მიმდინარეობდა თანამშრომლებისა და კონტრაქტორების ინფორმირება ჩვენ მიერ გახსნილი დამოუკიდებელი და კონფიდენციალური ცხელი ხაზის – OpenTalk – შესახებ, რომელსაც შეუძლიათ დაუკავშირდნენ კანონების, შიდაკორპორაციული წესების, საქმიანი ეთიკის ნორმებისა და „ქცევის კოდექსის“ შესრულების თემაზე წარმოშობილი კითხვებითა და საჭირბოროტო საკითხებით.

საქართველოს მოქალაქეთა ხვედრითი წილი BP საქართველოს პერსონალის მთლიან შემადგენლობაში

● საქართველოს მოქალაქეთა ხვედრითი წილი
● თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობა

ქართველი საზღვაო პლატფორმაზე

გიორგი ძველაია, „შაჰ დენიზ ალფას“ გაზის პლატფორმაზე მომუშავე საზღვაო ოპერაციების ინჟინერი, BP-ის პირველი ქართველი თანამშრომელია, რომელიც კასპიის ზღვის საზღვაო ოპერაციებში მონაწილეობს. „შაჰ დენიზ ალფა“ არის თვითამწევი საბურღი და საექსპლუატაციო პლატფორმა, საიდანაც გაზი და კონდენსატი დაახლოებით 92 კილომეტრიანი მილსადენით სანგაჩალის სახმელეთო ტერმინალს მიეწოდება.

„BP-ში მუშაობა დავიწყე 1998 წელს ექსპლუატაციის ტექნიკოსად სუფსის ტერმინალზე და გარკვეული თანამდებობრივი საფეხურების გავლის შემდეგ ვმუშაობდი ტერმინალის მენეჯერის მოადგილედ. ჩემი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის გასაფართოებლად თბილისში გადავედი ექსპლუატაციის ინჟინრის პოზიციაზე, ხოლო მოგვიანებით მე-2 ნაბთობსაქაჩი სადგურის მმართველი გავხდი. მთლიანობაში 10 წელზე მეტი ვიმუშავე სახმელეთო ოპერაციებში, ამიტომ ახლა ამ საზღვაო ობიექტზე მუშაობა ჩემთვის მნიშვნელოვანი სიახლეა და მას სირთულეებიც ახლავს. თანდათან ვეცნობი პლატფორმის მუშაობას და ვიძენ საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას, რაშიც აქაური პროფესიონალები მეხმარებიან.“

ადგილობრივი რესურსი

როგორ მონაწილეობს კომპანია საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში?

ჩვენ მივისრწაფით, რომ საქართველოში, ისევე როგორც ჩვენი საქმიანობის სხვა ქვეყნებში, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა ჩამოვაყალიბოთ ყველასთან, ვისაც ჩვენი საქმიანობა ამა თუ იმ ფორმით ეხება. ჩვენი კოლექტიური გამოცდილებისა და რესურსის გამოყენებით და სხვა მხარეებთან თანამშრომლობით, ვცდილობთ გამოვეხმაუროთ ადგილობრივი საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ცალკეული ადამიანების, საზოგადოების ჯგუფებისა თუ ინსტიტუტების შესაძლებლობების გაზრდაში.

ამ დოკუმენტს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე:
www.bp.com/countrysustainabilityreports

სტრატეგია

ჩვენს კოლეგებთან და პარტნიორებთან შეთანხმებით, 2008 წლის ბოლოს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 2003 წლიდან მიმდინარე საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამისა და 2005 წელს დაწყებული რეგიონალური განვითარების ინიციატივის საფუძველზე დავიწყოთ საზოგადოების დაინტერესებულ ჯგუფებთან ურთიერთობის ახალი ინტეგრირებული ეტაპი, რომელიც 2009-2011 წლებში განხორციელდება.

ჩვენი ბიზნესპარტნიორების აქტივებისა და ინვესტიციების დაცვას საქართველოში ხელს ვუწყობთ ჩვენი ობიექტების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის, ხელისუფლების ორგანოების, არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ბიზნეს ჯგუფების საქმიანობის მხარდაჭერითა და მათი კეთილგანწყობის მოპოვებით.

ჩვენი ობიექტების ახლომდებარე რაიონებში ადგილობრივი წარმოებისა და მოსახლეობის შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა საქართველოში ჩვენი სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულებაა. ჩვენი ოპერაციების გეოგრაფიული მდებარეობისა და მეზობელი დასახლებების ეკონომიკური პროფილის გათვალისწინებით, სოფლად ჩვენი ინიციატივების ძირითადი თემა სოფლის მეურნეობის მდგრადი პროექტების რეალიზაცია იქნება.

ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერების კიდევ ერთი მიმართულება ენერგეტიკა იქნება. ამ პროექტების ფარგლებში განხორციელდება ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინიციატივები სოფლად, აგრეთვე ენერგეტიკის სფეროს ტექნიკური დახმარებისა და საგანმანათლებლო პროექტები.

2009-2011 წლებში ჩვენ ვგეგმათ წელიწადში საშუალოდ 3 მილიონი დოლარის ინვესტირებას ამ პროექტებში.

ურთიერთობა დაინტერესებულ ჯგუფებთან

ვაგრძელებთ ურთიერთობას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მარშრუტების ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობასთან.

ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები რეგულარულად ხვდებოდნენ სოფლების მოსახლეობას და, მოსახლეობასთან ურთიერთობის შიდა პროცედურების დაცვით, ყველა ვიზიტის შედეგებს დოკუმენტურად აღრიცხავდნენ მოსახლეობის პრობლემებზე ქმედითი რეაგირებისათვის. გარდა ამისა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას კომპანია BP-ისა და მისი საქმიანობის შესახებ. კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება მილსადენების სიახლოვეს უსაფრთხოების წესების დაცვაზე. სკოლების მოსწავლეებს შორის გავმართეთ ფოტოკონკურსი, რომლის გამარჯვებული ფოტოები კომპანიის მიერ უსაფრთხოების თემაზე მომზადებულ 2009 წლის კალენდარში შევიდა.

გასული წლების განმავლობაში განვიხილეთ და მოვაგვარეთ მილსადენების მშენებლობის პერიოდში შემოსული საჩივრები. 2008 წელს დასრულდა რეაგირება მშენებლობის პერიოდთან დაკავშირებულ ყველა დარჩენილ საჩივარზე. წლის განმავლობაში გაგრძელდა მილსადენების მშენებლობისთვის საჭირო მიწის ფართობების თავდაპირველი მესაკუთრეებისთვის სარგებლობის უფლებით დაბრუნების პროცესი. კერძო მესაკუთრეთა 80%-ზე მეტთან უკვე გაფორმებულია მიწის სარგებლობის უფლებით დაბრუნების ოფიციალური ხელშეკრულებები.

ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინება, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს მათ მხარდაჭერას გარეშე მოვლენებით გამოწვეული სიძნელეების დროს. 2008 წელს საქართველოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ჩვენმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ ჰუმანიტარულ აქციაში. BP-მ გააორმაგა თანამშრომელთა შეწირულობები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვების, ოჯახებისა და ადგილნაცვალი პირების დასახმარებლად. დამატებით BP-ის ფონდიდან გამოიყო გრანტი საქართველოში CARE International-ის მიერ გადაუდებელი დახმარების ღონისძიებების ჩასატარებლად.

საგზაო უსაფრთხოების სწავლება სკოლებში

საქართველოს მთავრობა აღიარებს, რომ მოზარდებისათვის საგზაო უსაფრთხოების სწავლება მნიშვნელოვანია. საგზაო საქართველოში გზების არასახარბიელო მდგომარეობა და ავტოტრანსპორტის გაზრდილი რაოდენობა იწვევს ავტოავარიების გახშირებას, რომლებიც ბავშვების სიკვდილით ან ჯანმრთელობის დაზიანებით სრულდება. 2007 წელს საქართველოში მომხდარი საგზაო შემთხვევების დროს 36 ბავშვი დაიღუპა და 550 დაშავდა.

BP-ის ფინანსური მხარდაჭერით ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდების ყურადღების მიპყრობას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე და მათ მიერ შეძენილი ცოდნის გადაცემას მათი ოჯახის წევრებისა და თანაქალაქელებისათვის. პროგრამა საწყის ეტაპზე მოიცავს გადატვირთული საგზაო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქების სკოლებს, ხოლო მომავალში იგეგმება პროგრამის გაფართოება.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

საქართველოში ჩვენი მიმდინარე საქმიანობის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების უკეთ ინფორმირებას ისახავდა მიზნად 2008 წლის ივნისში ჩვენ მიერ მოწყობილი მრგვალი მაგიდა, რომელსაც 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა. საქართველოში გამჭვირვალობის მხარდასაჭერად, BP-ის გაეროს განვითარების პროგრამის გლობალური შეთანხმების ინიციატივის ფარგლებში მოწყობილ სემინარზე გამოვედით მოხსენებით არაფინანსური ანგარიშგების კონცეფციისა და პრაქტიკის საკითხებზე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ჩვენ მიერ განხორციელებული ინსტიტუციონალური განვითარების ინიციატივების მიზანია, რომ მოვუაროთ მილსადენების მშენებლობის პროცესში აღმოჩენილ არქეოლოგიურ უბნებს და ისინი საზოგადოებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ. 2008 წელს ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა წამყვანი საერთაშორისო არქეოლოგების სემინარები და ლექციები, გაფორმდა ხელშეკრულება ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის, რომლის ფარგლებში მოხდება გამოცდილების გაზიარება მეცნიერული, ლიტერატურული და ისტორიული ღირებულების სამუზეუმო კოლექციების მართვის საკითხებში.

ინვესტიცია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის

სუფსის ტერმინალის ახლომდებარე სკოლებისთვის განკუთვნილი საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებით ლანჩხუთის რაიონის სუფსის საჯარო სკოლამ, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციისთვის, ააშენა ახალი სპორტული კომპლექსი. სკოლის ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ სასწავლო არდადეგების პერიოდში გააქირავოს სპორტული კომპლექსის შენობა მსურველებზე, რაც სკოლისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება. ეს ძალისხმევა, რომლის შედეგად სკოლას ფეხბურთის, ჩოგბურთისა და კალათბურთის კეთილმოწყობილი მოედნები გაუჩნდა, პირდაპირ ეხმაურება ჩვენი საინვესტიციო პროგრამის დანიშნულებას, რაც ამ რეგიონში სკოლების შენობებისა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში მდგომარეობს.

დასრულდა 2007 წელს დაწყებული პროექტი, რომელიც BP-ის დაფინანსებით განახორციელა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ და რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას საქართველოს ენერგეტიკის საკითხებზე და ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმებზე. მედიის 20-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო 10 სემინარისგან შემდგარ ღონისძიებას, რომელზეც საქართველოს ენერგეტიკის ექსპერტები იყვნენ მოწვეული. პროექტი ითვალისწინებდა ყოველთვიური ანგარიშებისა და საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემას, ტრენინგებს ჟურნალისტებისათვის და კონკურსს საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრისთვის ენერგეტიკის თემაზე.

განათლების ხელშეწყობა

განათლების სფეროს ხელშეწყობა საქართველოში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის დაწყებისთანავე მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა როგორც სწრაფ შედეგებზე გათვლილი პროექტები, როგორიცაა სკოლის შენობების რემონტი, აგრეთვე გრძელვადიანი ინიციატივები, რომლებიც მოსწავლე ახალგაზრდობის ცოდნის ამაღლებას ემსახურება.

2008 წელს, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, დავაფინანსეთ ერთწლიანი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეების ცოდნის ამაღლებას საგზაო უსაფრთხოების საკითხებში. ეს არის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის – ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ – პროექტი, რომელიც საქართველოს 40-ზე მეტ სკოლას მოიცავს.

2008 წელს დავასრულეთ სუფსის ტერმინალის ახლომდებარე სკოლებისთვის განკუთვნილი საინვესტიციო პროგრამა. 2007 წელს დაწყებული ამ პროგრამის ფარგლებში სკოლებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, გაიმართა ტრენინგები სკოლების სამეურვეო საბჭოებისთვის, განხორციელდა მოსწავლეების ინიციატივები. ასევე გაგრძელდა მცირებიუჯეტიანი პროექტების, ძირითადად, სკოლების კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსება ბაქო-სუფსის მილსადენის დერეფნიდან 2 კილომეტრში მდებარე სკოლებისთვის. ჩვენი ობიექტების ირგვლივ უსაფრთხოების წესების უკეთ გასაცნობად მოსწავლეებს შორის გაიმართა ვიქტორინები უსაფრთხოების თემაზე.

ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით, ნავთობსადენისა და გაზსადენის მარშრუტებისა და სუფსის ტერმინალის მიმდებარე სკოლებში ორგანიზაცია CARE International-მა განახორციელა სკოლების სამეურვეო საბჭოების ტრენინგების პროგრამა, რომელიც ორგანიზაციული სრულყოფის, ფინანსური ანგარიშვალდებულების, გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის საკითხებს მოიცავდა.

ვაგრძელებთ თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მხარდაჭერას. სკოლა 2006 წელს გაიხსნა BP-ის და საქართველოს, შვედეთისა და ნორვეგიის მთავრობების ფინანსური მხარდაჭერით. იგი მიზნად ისახავს ეკონომიკის სფეროში მაღალი დონის სამაგისტრო სწავლებისა და კვლევების ხელშეწყობას. 2008 წელს სკოლას ფუნქციონირებიდან ორი წელი შეუსრულდა, დაინიშნა სკოლის აკადემიური პერსონალი, დასრულდა სკოლის ახალი შენობის კეთილმოწყობა და სკოლამ უკვე სტუდენტების მესამე ნაკადი მიიღო. 2008 წელს თბილისში ვიზიტის დროს სკოლას ეწვია BP ჯგუფის მთავარი ეკონომისტი დოქტორი კრისტოფ რუელი და სკოლის სტუდენტებისათვის გამართა ლექცია, რომელიც „BP-ის მსოფლიო ენერგეტიკის მიმოხილვის სტატისტიკურ ანგარიშს“ მიეძღვნა.

ენერგოეფექტურობის საკითხში ცნობიერების ამაღლების ინიციატივა

BP-მ დაიწყო სამწლიანი ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობის ინფორმირებას ალტერნატიული და განახლებადი ენერგიის წყაროებისა და საქართველოში არსებული ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ.

ენერგოეფექტურობა
საინფორმაციო და სადემონსტრაციო სატრანსპორტო საშუალება

ადგილობრივი საწარმო
თაფლის ჩამოსხმა „ფერმერები და ბაზარი“ პროექტის ფარგლებში

პროგრამის მიზნებისთვის შეიქმნა საინფორმაციო და სადემონსტრაციო სატრანსპორტო საშუალება – „ენერგოავტობუსი“, რომელშიც გამოფენილია ვიზუალური მასალა ენერგოეფექტური პროდუქციისა და ტექნოლოგიების შესახებ. ენერგოავტობუსი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს შემოივლის. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მიმდინარეობს მოლაპარაკება პროგრამის მიზნებისთვის შერჩეული ბანკებისთვის შეღავათიანი საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ, რომლებიც ენერგოეფექტური პროდუქციის შეძენით დაინტერესებულ პირებს მიკრო და მცირე სესხებით უზრუნველყოფენ. თავისი პარტნიორების სახელით, BP ერთი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტით დააფინანსებს იმ კაპიტალური დანახარჯების ნაწილს, რაც დაინტერესებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა გაიღოს ამ პროდუქციის შესაძენად.

ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა

სხვადასხვა ინიციატივის მეშვეობით ხელს ვუწყობთ ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ზრდას. ამ ინიციატივებიდან ზოგიერთი პირდაპირ კავშირშია ჩვენს კომერციულ საქმიანობასთან, ხოლო დანარჩენები უფრო ფართომასშტაბიანი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას ისახავენ მიზნად.

კონტრაქტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, BP აფინანსებს პროექტების მართვის სამწლიან სასწავლო პროგრამას – პროექტების მართვის კოლეჯს, რომელიც ადგილობრივი კომპანიების წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას, გაიარონ მაღალი დონის სწავლების კურსი და შეიძინონ პროექტების მართვის ძირითადი უნარ-ჩვევები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ხარჯების კონტროლი, დაგეგმვა და სხვა. სწავლების კურსის ჩასატარებლად მოწვეულია მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაცია პროექტების მართვის ტრენინგების სფეროში – ESI International. პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში გაიცემა მსოფლიოში აღიარებული სერტიფიკატები. კოლეჯი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბაზაზე იფუნქციონირებს.

იმის გათვალისწინებით, რომ მილსადენების მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არის დაკავებული, 2007 წელს ჩვენ დავიწყეთ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ხელშემწყობი პროექტი – „ფერმერები და ბაზარი“. პროექტით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკონსოლიდაციო ცენტრების შექმნა და მათი ტექნიკური აღჭურვა. ეს ცენტრები უზრუნველყოფენ ფერმერებისგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესყიდვას და ბაზარზე მათ გატანას. ამავე ცენტრებში ფერმერები მიიღებენ საჭირო ინფორმაციას, რათა საკუთარი პროდუქცია ბაზრის მოთხოვნილებებს მოარგონ.

2008 წელს ბორჯომი-ახალციხე-ადიგენის რაიონებში კერძო ბიზნესის განვითარების პროექტის მეორე ფაზა დაიწყო. პროექტი მერძევეობისა და მეფუტკრეობის დარგების დახმარებას ისახავს მიზნად. აღნიშნულ რაიონებში შეიქმნება რძის შემგროვებელი შვიდი ცენტრი, ხოლო ახალციხეში შენდება რძისა და თაფლის გადამამუშავებელი საწარმოები. პროექტის ფარგლებში შეიქმნა კოოპერატივები და გაუმჯობესდა ვეტერინარული სამსახურების მუშაობა.

ჩვენი საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებს გრანტების გამოყოფასა და ტრენინგების ჩატარებას ბიზნესის დაწყების მსურველი ქალებისათვის. ახალგაზრდა ქალების თაოსნობით დაწყებული ბიზნესების მხარადასაჭერად უკვე 21 გრანტი გაიცა.

2008 წელს ვმონაწილეობდით ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) საქმიანობაში, რომელიც 2006 წელს BP-ისა და Statoil-ის ფინანსური დახმარებით დაფუძნდა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების გაღრმავებას ისახავს მიზნად. 2008 წელს ბიზნესსაბჭოს ინიციატივით გაიმართა შეხვედრები საქართველოსა და ევროკავშირის ოფიციალურ პირებს შორის ვაჭრობის, ინვესტირების და ქართველი ექსპორტიორებისა და მეწარმეების, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის საკითხებზე. გარდა ამისა, გამოიცა ბროშურები, სავაჭრო კავშირების თემაზე გაიმართა შეხვედრები, სემინარები და კონფერენციები.

ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის, ლონდონში ბრიტანეთი-საქართველოს სავაჭრო პალატის და ვაშინგტონში აშშ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მხარდაჭერას.

ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები

ჩვენი ხუთწლიანი საქმიანობის მაჩვენებლები, ტენდენციები და განმარტებები

31 დეკემბრის მდგომარეობით	2004	2005	2006	2007	**2008**
საქმიანობის მაჩვენებლები					
ტრანსპორტირებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა (მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი)	–	–	106,600	221,389	**281,385**
სოციალური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)[a]	23.2	12.4	20.1	8.7	**8.0**
უსაფრთხოება და გარემოს დაცვა[b]					
BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	0	**0**
BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა	1	1	0	0	**0**
გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC)[c] – პერსონალი[d]	12	4	3	0	**0**
გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF)[e] – პერსონალი	0.12	0.06	0.07	0	**0**
აღრიცხვადი ტრავმები[f] – პერსონალი	105	30	5	1	**5**
აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF)[g] – პერსონალი	1.06	0.41	0.12	0.04	**0.26**
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა	69	35	33	5	**6**
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე[h]	3.76	1.30	2.06	0.49	**0.71**
დაღვრის შემთხვევების რაოდენობა (პირველადი გარსაცმის ჰერმეტულობის დარღვევა)[i]	1	1	3	2	**2**
დაღვრილი პროდუქტის მოცულობა (ლიტრი)	15	70,914	10,416	75,290	**4,715**
დაკარგული პროდუქტის მოცულობა (ლიტრი)	10	0	0	51,000	**0**
ნამუშევარი დრო – პერსონალი	19,776,554	14,527,840	8,158,739	4,459,899	**3,873,410**
გავლილი კილომეტრები	18,335,771	26,844,882	15,999,715	10,101,030	**8,503,842**
პირდაპირი ნახშირორჟანგი (CO_2) (ტონა)	32,029	35,421	146,084	408,273	**251,090**
პირდაპირი მეთანი (CH^4) (ტონა)	202	220	396	271	**147**
პირდაპირი სათბურის აირები (BP-ის წილი) (CO_2-ის ეკვივალენტი ტონებში)	12,362	13,687	47,675	123,863	**76,443**
გოგირდის ორჟანგი (SOx) (ტონა)	39	44	197	109	**88**
აზოტის ოქსიდები (NOx) (ტონა)	589	651	1,751	2,704	**1,992**
არამეთანური ნახშირწყალბადები (NMHC) (ტონა)	1,834	1,990	1,823	91	**72**
განთავსებული სახიფათო ნარჩენი ($მ^3$)	311	388	243	383	**352**
განთავსებული არასახიფათო ნარჩენი (ტონა)	603	670	378	463	**497**
თანამშრომლები					
BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	531	536	654	591	**536**
საქართველოს მოქალაქეები BP საქართველოს თანამშრომელთა შორის (%)	73	74	75	84	**93**

a ეს ციფრები მოიცავს BP-სა და მისი პარტნიორების მიერ გადახდილ „ნაღდ“ თანხებს, მათ შორის BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ ფარგლებში გაცემულ თანხებს. BTC გრანტისა და BP-ს „ვალდებულების“ შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ *BP საქართველოს* 2005 და 2006 *წლის მდგრადი განვითარების ანგარიშები*.

b უსაფრთხოების მონაცემები მოიცავს საქართველოში განხორციელებულ ყველა საქმიანობას, რომელიც წინამდებარე ანგარიშში არის აღწერილი (WREP, სუფსის ტერმინალი, BTC, SCP და Air BP). ყველა გარემოსდაცვითი მაჩვენებელი ასახავს BP-ის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გაფრქვევების სრულ მაჩვენებლებს, გარდა „საათბურის აირების პირდაპირი გაფრქვევის წილობრივი მაჩვენებლისა“, რომელიც უჩვენებს მხოლოდ BP-ის წილს გაფრქვევებში იმ საწარმოებიდან, რომელშიც BP-ის წილობრივი მონაწილეობა გააჩნია. 2004 და 2005 წლის მონაცემები მოიცავს BP-ის საქმიანობას ბაქო-სუფსის მილსადენსა და სუფსის ტერმინალზე. 2006 და 2007 წლის მონაცემები მოიცავს BP-ის საქმიანობას სამივე მილსადენსა (BTC, SCP და WREP) და მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე.

c DAFWC: ტრავმა ან ავადმყოფობა კლასიფიცირდება, როგორც „გაცდენილი სამუშაო დღეები“, თუ თანამშრომელმა ტრავმის ან ავადმყოფობის შედეგად ვერ შეძლო ემუშავა რომელიმე დღეს, განურჩევლად იმისა, დაგეგმილი იყო თუ არა მუშაობა, ან თუ ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ მუშაკი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე.

d BP-ის პერსონალში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი.

e DAFWCF – პერსონალი: BP-ის პერსონალის მიერ ტრავმის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200,000 საათზე.

f აღრიცხვადი ტრავმა არის ისეთი სახის ტრავმა ან ავადმყოფობა, რომელიც დასრულდა ლეტალური შედეგით, გაცდენილი სამუშაო დღით, შეზღუდული მუშაობით, სამუშაოს გადაბარებით ან პირველადი დახმარების შემდეგ განეული სამედიცინო მომსახურებით.

g აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200,000 საათზე. ეს არის ნავთობმრეწველობის დარგში საყოველთაოდ მიღებული ინდივიდუალური უსაფრთხოების საზომი ერთეული.

h ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე: მსუბუქი ავტომანქანების, სატვირთო ავტომანქანებისა და პორტატული ტექნიკის გადაადგილებისას მომხდარი ყველა ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა ჯამი, ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.

i BP ჯგუფის განსაზღვრების თანახმად, ნახშირწყალბადის დაღვრად განიხილება ერთ ბარელზე (159 ლიტრი, ანუ 42 ამერიკული გალონი) მეტი მოცულობის პროდუქტის დაღვრა.

ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები

აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე 2004-2008 წლებში



ნავთობის დაღვრის შემთხვევების რაოდენობა 2004-2008 წლებში



სახიფათო ნარჩენების განთავსება



საქართველოს მოქალაქეთა ხვედრითი წილი პერსონალის მთლიან შემადგენლობაში 2004-2008 წლებში

მილსადენებით გატარებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა

უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

2008 წელს გაზრდილი საწარმოო მაჩვენებლების მიუხედავად, 2004-დან 2008 წლამდე პერიოდში საგრძნობლად შემცირდა აღრიცხვადი ტრავმების სიხშირის მაჩვენებელი და 1.06-დან 0.2-მდე ჩამოვიდა. ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება გამოიწვია აღრიცხვადი ტრავმების რაოდენობის შემცირებამ 2004 წელს აღრიცხული 105-დან 2006 წელს აღრიცხულ ხუთ შემთხვევამდე. ტრავმების მკვეთრი კლება დაემთხვა 2004-2005 წლებში მიმდინარე მილსადენების მშენებლობის ეტაპიდან ექსპლუატაციის ეტაპზე გადასვლას 2006 წლის განმავლობაში. წინა წელთან შედარებით გაზრდილი აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე მიანიშნებს, რომ უსაფრთხოების მაჩვენებლების გაუმჯობესება მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობის შემცირება ნაწილობრივ გავლილი კილომეტრების კლების შედეგია, რაც თავის მხრივ, მშენებლობის ეტაპიდან ექსპლუატაციის ეტაპზე გადასვლას უკავშირდება. ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე, ანუ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე, შედარებით მოკლე დროში გაუმჯობესდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ „BP-ის ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების სტანდარტის“ დანერგვისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა დადებითი შედეგები გამოიღო.

2007 წელთან შედარებით სათბურის აირებისა და სხვა აირების გაფრქვევების მოცულობის შემცირება, ძირითადად, გაფრქვევების კოეფიციენტების უფრო მიზანშეწონილი სიდიდეების გამოყენებით არის გამოწვეული.

2004 წლიდან მოყოლებული, თითქმის ერთ დონეზეა შენარჩუნებული ნავთობის დაღვრის ინციდენტების რაოდენობა, რომელიც სანარმოო პროცესების უსაფრთხოების პარამეტრზე ახდენს გავლენას. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში ნავთობის დაღვრის მიზეზი ბაქო-სუფსის მილსადენზე უკანონო მიერთების მცდელობა იყო.

ჩვენი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენი მრავალი სხვადასხვა ტიპის მასალისგან შედგება, მაგრამ ამ კატეგორიის ნარჩენს ძირითადად ქმნის ნავთობით დასვრილი საგნები, როგორიცაა ნავთობიანი წყალი, ფილტრები, კანისტრები, ნავთობიანი ჩვრები და აბსორბენტები. 2008 წელს უტილიზებული სახიფათო ნარჩენების მოცულობა აღემატებოდა უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო მაჩვენებელს, მაგრამ 2007 წელს აღრიცხულ მოცულობაზე ნაკლები იყო. სახიფათო ნარჩენების მოცულობის შესამცირებლად ნახმარ ზეთებს ვაბრუნებთ ნავთობსადენში, ხოლო ნავთობიან წყალს გადავამუშავებთ ობიექტებზე არსებულ სეპარატორებში.

თანამშრომლები

2004 წლიდან დაწყებული, კომპანიის საშტატო შემადგენლობაში ადგილობრივი თანამშრომლების წილი მუდმივად იზრდება. 2008 წლის ბოლოსთვის ამ მაჩვენებელმა 93%-ს მიაღწია. ასეთი მაჩვენებელი გამოწვეულია როგორც უშუალოდ კომპანიაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების რიცხვის ზრდით, ისე BP-ისა და კონტრაქტორების უცხოელი თანამშრომლების რაოდენობის შემცირებით. მილსადენების მშენებლობის დასრულების პერიოდში უცხოელი თანამშრომლების რიცხვმა მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია, ხოლო 2006 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რადგან ექსპლუატაციის ეტაპზე კომპანიაში სულ უფრო მეტი ადგილობრივი თანამშრომელი იკავებს საკვანძო თანამდებობებს.

საქმიანობის მაჩვენებლები

2007 წელთან შედარებით, 2008 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით, სამხრეთ კავკასიური გაზსადენითა და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენით გატარებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა 27%-ით გაიზარდა. ეს ზრდა კასპიის ზღვაში მდებარე აზერი-ჩირაგ-გიუნაშლის საბადოებიდან მოპოვების მოცულობების გაზრდით იყო გამოწვეული. გატარებული ნავთობის მოცულობების შემდგომი ზრდა მოსალოდნელია 2009 წელს, ანუ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთოსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ოპერირების მესამე სრულ წელს.

დამოუკიდებელი შემფასებლის განცხადება

წინამდებარე ანგარიში შემოწმებულია BP ჯგუფის აუდიტორის, Ernst & Young-ის მიერ. ანგარიშის შემოწმების უპირველესი მიზანია იმის ნათელყოფა, რომ ტექსტში მოცემული BP-ის მდგრადი საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები, განცხადებები და მონაცემები ფაქტებით არის დადასტურებული. ამ პროცესის მიზანია, რომ ანგარიშის შინაარსის საიმედოობა მესამე, დამოუკიდებელმა მხარემ დაამოწმოს. Ernst & Young-ის მიერ განხორციელებული სამუშაო და მათი დასკვნები იხილეთ ქვემოთ.

დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს

BP საქართველოს მდგრადი განვითარების 2008 წლის ანგარიში („ანგარიში“) მომზადდა BP საქართველოს მენეჯმენტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მოძიებასა და წარმოდგენაზე. BP-ის მენეჯმენტის ინსტრუქციების მიხედვით, ჩვენი მოვალეობაა, ქვემოთ აღწერილი პროცესის შესაბამისად, შევამოწმოთ ანგარიში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მონაცემებსა და საკითხებზე დასკვნების გამოსატანად.

შემოწმებისას პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ BP p.l.c-ის მენეჯმენტის წინაშე, მათთან შეთანხმებული ტექნიკური დავალების (TOR) შესაბამისად. ამრიგად, არ ვიღებთ რაიმე სხვაგვარ პასუხისმგებლობას სხვა პირისა თუ ორგანიზაციის წინაშე. ნებისმიერი მესამე მხარე ამ ანგარიშს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით შეიძლება დაეყრდნოს.

როგორ გავაკეთეთ დასკვნები

ეს შემოწმება დაიგეგმა და განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტის – ISAE3000-ის შესაბამისად[a].

ანგარიში შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათანადოდ არის თუ არა ანგარიშში ასახული 2008 წელს BP საქართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ყურადღება გაამახვილა მასმედიამ, გამოვლინდა თავად BP საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების საკითხების მიმოხილვისას ან აისახა შიდა დოკუმენტაციაში.
- შესაბამისობაშია თუ არა ანგარიშში მოყვანილი მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია BP-ის მენეჯერების მიერ მიწოდებულ განმარტებებსა და მტკიცებულებებთან.
- შეესაბამება თუ არა ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები მდგრადი განვითარების შესახებ შესაბამისი ბიზნესდანაყოფის დონეზე აღრიცხულ მონაცემებს.

ჩვენი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად გადავდგით შემდეგი ნაბიჯები:

1. ანგარიშში მოყვანილი განცხადებების მიზანშეწონილობის შესაფასებლად შევისწავლეთ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები და შიდა დოკუმენტები – ეთიკის სერტიფიკატები, რისკის შეფასების დოკუმენტები და 2008 წელს BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებული მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის ამსახველი მასალები.
2. შევისწავლეთ BP საქართველოს მიერ ანგარიშში გადმოსაცემი ძირითადი საკითხების შერჩევის პროცესის შედეგები.
3. შევისწავლეთ ანგარიშში არსებული მონაცემებისა და განცხადებების დასადასტურებლად მიღებული ინფორმაცია და განმარტებები. ანგარიშში ასახული მონაცემების შესახებ დოკუმენტაციის განხილვისას არ შეგვიმოწმებია თავად მონაცემთა შეგროვების, შეჯერებისა და აღრიცხვის პროცესი ქვეყნისა თუ ობიექტების დონეზე.

შემოწმების დონე

მტკიცებულებების მოპოვების პროცედურები გულისხმობს განსაზღვრული დონის შემოწმებას, ჩვენი დასკვნების გამოსატანად. მტკიცებულებების ჩვენ მიერ განხორციელებული შეგროვების პროცედურები უფრო მცირე მოცულობისაა, ვიდრე სრულფასოვანი აუდიტი (როგორიცაა, მაგალითად, ფინანსური აუდიტი) და, შესაბამისად, ჩატარებული შემოწმებაც უფრო შეზღუდულია.

ჩვენი დასკვნები

ჩატარებული განხილვის საფუძველზე და ტექნიკური დავალების შესაბამისად, ანგარიშის შესახებ წარმოვადგენთ ჩვენს დასკვნებს, რომელთა გაცნობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოთ მოყვანილი ტექსტი, სათაურით „როგორ გავაკეთეთ დასკვნები“.

1. არის თუ არა განხილული ანგარიშში ძირითადი საკითხები?
   ჩვენთვის არ არის ცნობილი BP საქართველოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ყურადღება გაამახვილა მასმედიამ, ან გამოვლინდა BP საქართველოს არსებითი მნიშვნელობის მოვლენების შიდა მიმოხილვის შედეგად და რომელიც ამ ანგარიშში არ აისახა.
2. არის თუ არა BP საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის ამსახველი მონაცემები და განცხადებები დადასტურებული განმარტებებითა და მტკიცებულებებით?
   ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე არასწორი განაცხადის არსებობა ანგარიშის იმ მონაცემებსა და მტკიცებულებებში, რომლებიც BP-ის მენეჯმენტმა BP საქართველოს მდგრადი საქმიანობის შესახებ წარმოადგინა.

ჩვენი დამოუკიდებლობა

როგორც BP p.l.c.-ს აუდიტორი, Ernst & Young-ი ვალდებულია, დააკმაყოფილოს დამოუკიდებლობის მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ინგლისისა და უელსის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტის (ICAEW) პროფესიული ეთიკის სახელმძღვანელოში. Ernst & Young-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რომელიც აკმაყოფილებს და ზოგან აღემატება ICAEW-ის მოთხოვნებს, ვრცელდება ფირმაზე, პარტნიორებსა და პროფესიონალ თანამშრომლებზე. აღნიშნული პოლიტიკით იკრძალება ჩვენს კლიენტებთან ნებისმიერი ისეთი სახის ფინანსური ურთიერთობა, რომელიც შეამცირებს დამოუკიდებლობის დონეს ან, შესაძლოა, ამგვარად იქნეს განხილული. პარტნიორებსა და პერსონალს მოეთხოვებათ, ყოველწლიურად დაადასტურონ ფირმის პოლიტიკასთან თავიანთი საქმიანობის შესაბამისობა.

ჩვენ ყოველწლიურად ვატყობინებთ BP-ს, მოხდა თუ არა ისეთი შემთხვევა, მაგალითად, აკრძალული მომსახურება, რაც ჩვენს დამოუკიდებლობაზე იქონიებდა გავლენას. 2008 წელს ასეთი შემთხვევა ან მომსახურება არ ყოფილა.

ERNST & YOUNG
Ernst & Young LLP
ლონდონი, 2009 წლის მაისი

[a] ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც არ გულისხმობს აუდიტსა და ისტორიული საფინანსო ინფორმაციის მიმოხილვას (ISAE 3000).

ტერმინების განმარტება

BTC
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი

CO_2
ნახშირორჟანგი

DAFWC (f)
შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღეები (სიხშირე)

EUGBC
ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო

ISSOW
მუშაობის უსაფრთხოების ინტეგრირებული სისტემა

Mmboe
ათასი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი

PSA
პროდუქტის განაწილების ხელშეკრულება

RIF
აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე

SCP
სამხრეთ კავკასიური გაზსადენი

SPPD
სტრატეგიული მილსადენების დაცვის მთავარი სამმართველო

WREP
დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (იგივე ბაქო-სუფსის მილსადენი)

დამატებითი ინფორმაცია

BP-ის მდგრადი განვითარების ანგარიშების სტრუქტურა

BP აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი არაფინანსური ვადებულებებისა და საქმიანობის შესახებ – ჯგუფის, ქვეყნისა და ცალკეული საწარმოების დონეზე, როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული ფორმით.

ჯგუფის მდგრადი განვითარების ანგარიში

BP ჯგუფის მდგრადი განვითარების ანგარიში ქვეყნდება ინგლისურ, გერმანულ, ჩინურ, რუსულ და ესპანურ ენებზე და BP-ის საქმიანობის მაჩვენებლები ნაჩვენებია ინტერაქტიული დიაგრამების სახით.
www.bp.com/sustainability
www.bp.com/hsecharting tools
www.bp.com/sustainabilityworldwide

ცალკეული ქვეყნების ანგარიშები

ანგარიშები ეხება ჩვენს საქმიანობას ანგოლაში, ავსტრალიაში, აზერბაიჯანში, გერმანიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, ტრინიდადი და ტობაგოსა და თურქეთში.
www.bp.com/countrysustainabilityreports
www.bp.com/worldwide

ცალკეული საწარმოების ანგარიშები

ქვეყნდება აგრეთვე კონკრეტული საწარმოების ანგარიშები და მონაცემები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, წყალმომარაგებისა და წყლის ხარისხის, ბიომრავალფეროვნებისა და საწარმოო ნარჩენების მართვის შესახებ.
www.bp.com/sitereports
www.bp.com/environmentalmappingtool
www.bp.com/casestudies

გამოხმაურება

თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. შეგიძლიათ მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, საგარეო ურთიერთობათა განყოფილების სახელზე, ან ელ-ფოსტით მისამართზე: bpgeosust@bp.com

BP საქართველო, 0194, თბილისი, საბურთალოს ქ. №38

BP საქართველოს გასული წლების მდგრადი განვითარების ანგარიშების გაცნობა შესაძლებელია ვებ-გვერდზე:
www.bpgeorgia.ge

დიზაინერი

ბესიკ დანელია